

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია:

ჩვენ გისმენთ

- შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირის მიერ
- მიუკერძოებელია სადამკვირვებლო საქმიანობაში
- მიზნად ისახავს კონფლიქტის განახლების თავიდან აცილებას
- მუშაობს სტაბილურობის შენარჩუნებისთვის
- ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას ყველა მხარეს შორის
- მუშაობს რათა ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებისდაგვარად უსაფრთხო და მისაღებ გარემოში გაუძღვეს ყოველდღიურ ცხოვრებას
- პატრულირებს 24 საათის განმავლობაში

ჩვენი დამკვირვებლები ყოველთვის სიამოვნებით გაგესაუბრებიან! მათ თან ახლავთ ქართულენოვანი და რუსულენოვანი თარგიმნები. უბრალოდ მიანიშნეთ, რომ მათთან საუბარი გსურთ!

თქვენ ასევე შეგიძლიათ:

- დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: press@eumm.eu
- მოგვწეროთ:
პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისი
კრწანისის ქ. N49
თბილისი, 0014
საქართველო
- გვეწვიოთ ვებ-გვერდზე: www.eumm.eu
- და შემოგვიერთდეთ Facebook-ის გვერდზე!
www.facebook.com/eumm.geo



ევროკავშირის სადამკვირვებლო
მისია საქართველოში

**ვმუშაობთ
უსაფრთხოებისა და
ნდობის აღდგენისთვის**



306 ვართ ჩვენ?

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. მისია 2008 წლის სექტემბერში შეიქმნა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ექვსპუნქტიან შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც აგვისტოს ომი დაასრულა.

ჩვენი პრიორიტეტებია კონფლიქტის განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა და კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა.

მას შემდეგ, რაც მისიამ საქმიანობა დაიწყო, იგი ახორციელებს 24 საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს. ამით მისია ხელს უწყობს ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებს საქართველოსა და რეგიონის მიმართ თავისი პოლიტიკა ჩამოაყალიბონ. მისიაში საშუალოდ 200 დამკვირვებელი მუშაობს ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან. ჩვენი სათავე ოფისი თბილისში მდებარეობს, ხოლო რეგიონალური ოფისები - მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში. ჩვენი მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები არ გვადილევენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას.

რას ვაკეთებთ?

ჩვენი ძალისხმევის დიდი ნაწილი ადგილზე არსებულ უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე დაკვირვებას მოიცავს. ჩვენ ვაკვირდებით კონფლიქტის გეგავლენას ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე და დაძაბულობის განსამუხტად და მისი თავიდან ასაცილებლად ხელს ვუწყობთ მხარეებს შორის კონტაქტების დამყარებას. ჩვენ ასევე ვაკვირდებით იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობას და იმ სამართლებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც მათზე მოქმედებს.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ გეგავლენას, რაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ სხვადასხვა დაბრკოლებების აღმართვას აქვს ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებასა და ყოფაცხოვრებაზე. ამ ვითარებაში ჩვენ რეგულარულად წარვადგენთ ანგარიშებს ძირითადი საარსებო საშუალებების, მაგალითად წყლის, ხელმისაწვდომობის შემლუღვასთან დაკავშირებით და ასევე იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, სკოლების, სოციალური მომსახურებისა და რელიგიური ადგილების ხელმისაწვდომობას ეხება.

ინციდენტის ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხის არსებობისას ჩვენ სიტუაციის გასარკვევად და დაძაბულობის ან ესკალაციის თავიდან ასაცილებლად ხელს ვუწყობთ მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლას.

სწრაფი და პირდაპირი კავშირისთვის ვიყენებთ სატელეფონო ცხელ ხაზს, რომლის გააქტიურებაც 24 საათის განმავლობაში კონფლიქტის ნებისმიერ მხარეს შეუძლია.

სატელეფონო ცხელი ხაზი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ნაწილია, რომელიც ყველა მხარეს შორის რეგულარულ და რიგგარეშე შეხვედრებს მოიცავს. ბევრჯერ გამოჩნდა, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრები მეტად სასარგებლოა. იგი ხელს უწყობს კონკრეტული ინციდენტების ან მოვლენების შესახებ ინფორმაციის მყისიერ გაცვლას და პრობლემის ადგილობრივ დონეზე მოგვარებას. მაგალითად, მოცემულმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო დაკავებულების გათავისუფლებას და ადმინისტრაციული საზღვრების მახლობლად სასოფლო სამეურნეო საქმიანობის უსაფრთხოებას. შეხვედრები ასევე აღრეული გაფრთხილების საშუალებას იძლევა კონკრეტული საქმიანობის შესახებ, როგორიცაა სამხედრო წვრთნები.

რას არ ვაკეთებთ?

ჩვენ არ ვართ ჰუმანიტარული ან განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაცია და არ შეგვიძლია ჰუმანიტარული დახმარების გაწევა ან კონკრეტული პროექტების დაფინანსება. მაგრამ ჩვენ ვინიშნავთ ინფორმაციას ხალხის შეხედულებებისა და პრობლემების შესახებ და ამ ინფორმაციას ვანვლით იმ ორგანიზაციებს, რომელთაც საჭირო დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ.

